

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს
სხდომის ოქმი № 1

ქ.თელავი

17 იანვარი 2020 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს
თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის
მოადგილე: ვასილ არაბული;

ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს წევრი არჩილ თხლაშიძე;

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულის მცხოვრებთა
კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ;

მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

- მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულის მცხოვრებთა
კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ;

ფრაქციის თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილმა წარმოადგინა
გულგულაში მცხოვრებ პირთა ერთობლივი განცხადება 10 ჰა.
მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად
დარეგისტრირების შესახებ. მან აღნიშნა რომ ზემოაღნიშნული
მიწის ნაკვეთი მდებარეობს იმ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ,
რომლის საკადასტრო კოდია 53.09.34.061.

აზრი გამოთქვას: ვასილ არაბულმა და არჩილ თხლაშიძემ; ფრაქციის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულის მცხოვრებთ გაეწიოთ შუამდგომლობა თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიმართ განცხადებაში აღნიშნული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ;

გადაწყვიტეს: მიემართოს თელავის მუნიციპალიტეტის მერს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე 103ა. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ;

ფრაქციის თავმჯდომარე:

ტიტე დარეჯანიშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

ვასილ არაბული

ფრაქციის წევრი:

არჩილ თხლაშიძე